



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აპრილი  
იარი  
№4 (440)  
(5778)  
2018

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה

### დიდი დღესასწაული

ისრაელი — 70

19 აპრილს ისრაელში დამოუკიდებლობის დღე — ისრაელის 70 წლისთავი აღინიშნა. მთავარი ცერემონიალი, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ტარდება, წელსაც იერუსალიმში — ჰერცლის გორაკზე გაიმართა. ისრაელის სახელმწიფოს არსებობის განმავლობაში ეს იყო არა მხოლოდ ყველაზე ხანგრძლივი, ყველაზე ძვირადღირებული ღონისძიებაც — იგი ქვეყანას 22.2 მილიონი შეკელი (დაახლოებით 6.5 მილიონი დოლარი) დაუჯდა — დამოუკიდებლობის დღის ცერემონიალი, როგორც წესი, 45 წუთი გრძელდება და 6-8 მილიონი შეკელი ჯდება, წელს — 19 აპრილს კი ყველაფერი გაცილებით მასშტაბური და დამშვენებული გახლდათ. ცერემონიის უჩვეულო ხანგრძლივობა პრემიერ-მინისტრის დაუგეგმავმა ჭარბსიტყვიანობამ განაპირობა — ბინიამინ ნეთანიაჰუმ ნაცვლად მისთვის გამოყოფილი ხუთი წუთისა, 14 წუთი ილაპარაკა, ქნესეთის სპიკერმა იული ედელშტეინმა კი ნაცვლად ასევე 5 წუთისა — 7 წუთი, თუმცა, 15 წუთს მოითხოვდა.



რან ცახორი, ვინაც ისრაელის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ცერემონიალი დადგა, ამბობს, რომ დღესასწაულის თეატრალური ნაწილი თავისი ლოჯისტიკით და ტექნიკური შესრულებით ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალს შეიძლება შეედაროსო.

— როგორც ჩანს, ჩვენ შევძელით გვეჩვენებინა აღორძინებულ ისრაელში ებრაული ხალხის გმირული ისტორია — განაცხადა რან ცახორმა.




ისრაელის დამოუკიდებლობის დღეს მიხეილ მირილაშვილმა პრემიერ-მინისტრ ბინიამინ ნეთანიაჰუს დიასპორასთან კავშირის განმტკიცებისათვის კონგრესის პრემია გადასცა.

სურათზე აღბეჭდილნი არიან: ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი, ბიზნესმენი ალექსანდრე მაშკევიჩი, პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ და „კერენ ჰაიასოდის“ თავმჯდომარე დავით კომიტსკი.

### დერეხ შალომ, რაბი იაკობ!

ქართველ ებრაელ რაბინთა საბჭოს გადამწყვეტილებით, ქართველ ებრაელთა მთავარ რაბინად აირჩიეს რაბი იაკობ გაგულაშვილი.



იაკობ გაგულაშვილი დაიბადა ქსენაკში 1966 წელს. ქართველ ებრაელთა მომავალი მთავარი რაბინი ხუთიოდე წლისა იყო, როცა სენაკიდან ისრაელს ავიდა. მისი მამა რაბი იცხაკ გაგულაშვილი, რომელიც სენაკის რაბი გახლდათ და ჯამაათს დიდ სამსახურს უწევდა, ბევრ შევაში დასახლდა, პატარა იაკობი კი „ბეთ იაკობის“ თალმუდ თორაში მიაბარა.

მოგვიანებით სწავლა აშდოდის „გროდნოს“ ქოლეჯში განაგრძო. 1991 წელს მთავარი რაბინათისაგან უბნის რაბინის ლიცენზია მიიღო, ხოლო 1994 წელს აშდოდის „დალეთისა“ და „ჰეის“

რაბინი გახდა.სამი წლის შემდეგ კი სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, მთავარი რაბინობის უფლებაც მოიპოვა.

1999 წელს რაბი იაკობ გაგულაშვილმა იერუსალიმის სასამართლოების რაბინებისაგან მოსამართლის — დაიანის წოდება მიიღო, 2015 წელს კი რაბინთა სასამართლოს თავმჯდომარე გახდა.

ქართველ ებრაელთა მთავარ რაბინად არჩევის შემდეგ იაკობ გაგულაშვილმა განაცხადა: „დაულალავად ვიბრძოლებთ მომავალი თაობების თვითიდენტიფიკაციისა და ქართველ ებრაელთა მივიწყებული რაბინების ხსოვნის შენარჩუნებისათვის.“

„მენორას“ რედაქცია გულითადად მიესალმება ამ სულიერი ლიდერობის თვისებებით დაჯილდოებული პიროვნების ქართველ ებრაელთა მთავარ რაბინად არჩევას. იმედს გამოვთქვამთ, რომ მისი მოღვაწეობა დიდად ნაადგება ქართველ ებრაელთა შორის სულიერების გაძლიერებას. მოსაგვარებელი საკითხები კი გარდა ზემოთ ხსენებულისა, ძალიან ბევრია, მათს შორის საქართველოს ებრაულ თემში და იმედს გამოვთქვამთ, ეს საკითხები მთავარ რაბინთან ერთად თემის მსჯელობის საგანი გახდება.

დერეხ შალომ, რაბი იაკობ, ქართველი ებრაელობისა და მთელი საისრაელოსათვის სასიკეთო იყოს თქვენი მთავარ რაბინად მოვლინება!



### ნეთანიაჰუს გავრთხილება



--ისრაელის უშიშროების ძალები და მისი არმია მზად არის მოვლენების ნებისმიერი განვითარებისათვის და გამოიჩინოს ნულოვან ტოლერანტობას, მის მიმართ, ვინც ებრაელთა სახელმწიფოს უშიშროებას დაემუქრება — 20 აპრილს მთავრობის საგანგებო სხდომაზე განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ.

საგანგებო სხდომა სწორედ იმ დარბაზში ჩატარდა — თელ-ავივი, ბეთ შარცმანის შენობა — რომელშიც 1948 წელს დავით ბენ გურიონმა ისრაელის სახელმწიფოს შექმნა გამოაცხადა.

ბინიამინ ნეთანიაჰუმ მთავრობის წევრებს შეახსენა ის მუქარა, რომელიც განუწყვეტლივ გაისმის თეირანიდან.

— ჩვენ მზად ვართ ვებრძოლოთ იმას, ვისაც სურს დაგვარტყას. ჩვენ ვერაფერი ვერ შეგვარჩევს. ცაჰალი მზად არის შეასრულოს ყველა ამოცანა, ცაჰალის უკან კი ისრაელის მოსახლეობა დგას — თქვა პრემიერ-მინისტრმა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ თეირანში განუწყვეტლივ იმუქრებიან ისრაელზე შურისმაძიებელ დარტყმას განვახორციელებთ: 16 აპრილს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა ბაჰრამ ყასემიმ თქვა:

— ისრაელის მიერ სირიაში ირანის საავიაციო ბაზის T-4 დაბომბვის გამო, ისრაელი გამანადგურებელი დარტყმისთვის ემზადოს. დამთავრდა ის დრო, როცა ისრაელის ასეთი შეტევები დაუსჯელი რჩებოდა.

ანალოგიური განცხადებები გაკეთდა ირანის პარლამენტში, ხოლო ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის მეთაურის მოადგილემ ჰუსეინ სალამიმ ასე მიმართა ისრაელელებს:

— ჩვენ კარგად გიცნობთ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბარიკადებში მოექცით და ველარსად გაიქცევით. ნუ გგონიათ, რომ ახალი ომი ისეთივე იქნება, როგორც ლიბანისა იყო, ერთადერთი, საითაც თქვენ შეგიძლიათ გაიქცეთ, ეს არის ზღვა. ნურც თქვენი საავიაციო ბაზების იმედი გექნებათ, ჩვენი იარაღი მათ მისწვდება და უცებ განადგურდება, ნურც ამერიკის იმედი გექნებათ და ნურც — დიდი ბრიტანეთისა, ჩვენ მანამდე მოგიღებთ ბოლოს, სანამ ისინი მოგისწვებენ. ამიტომ გირჩევთ არ დაუშვათ შეცდომა — ჩვენი რაკეტები თქვენსკენაა მომართული, როგორც კი მტერი რაიმეს დააპირებს, ჩვენ მათ გამოვუშვებთ

### მუსლიმი სწავლულის აღიარება

იორდანელი რელიგიური მოღვაწე, მეცნიერი შეიხი ახმად ადვანი აცხადებს: „პალესტინა“ არ არსებობს, ალაჰმა წმინდა მიწა განკითხვის დღემდე ებრაელ ხალხს უბოძა.

შეიხი წერს: იმათ, ვინც ყურანს ამახინჯებს, მინდა ვუთხრა: საიდან მოიტანეთ ეგ დასახლება — პალესტინა! თქვენ ცრუნი და წყეულნი ხართ — ალაჰმა ხომ ამ ადგილს წმინდა მიწა უწოდა და განკითხვის დღემდე ისრაელიანთა შვილებს უბოძა. ყურანში არსად არის ნახსენები პალესტინა! ისრაელიანთა მიწისადმი თქვენი პრეტენზია, გამონაგონია და ყურანის ნაწილმდე მიმართული შეტევაა, ამიტომაც ვერ გაიმარჯვებთ — ალაჰი მხარს არ დაგიჭერთ და დაგამდაბლებთ, რადგან ალაჰი ებრაელებს მფარველობს.

მე მხარს ვუჭერ ებრაელ ხალხს, იმიტომ რომ ჩემი რწმენა ამ მიწაზე ებრაელი ხალხის სუვერენიტეტისა, ყურანის ცოდნაში იღებს საფუძვლს. ეს კი ყურანის რამდენიმე სურამია ხაზგასმული, მაგალითად მეხუთე სურა, სადაც ალაჰი ამბობს: „შვილებო ისრაელიანთა, შედით წმინდა მიწაზე!“

ებრაელობა მშვიდობისმოყვარე ხალხია, მაგრამ როცა ისინი იძულებულნი ხდებიან თავი დაიცვან, ცდილობენ მინიმალური ზარალი მიაცენონ იმათ, ვისაც უტყვენ. მათთვის დიდი პატივია ის, რომ ყველა ხალხთა შორის ალაჰმა განკითხვის დღემდე ებრაელობა ამოირჩია. ალაჰს ეს ასე უბრალოდ არ გაუკეთებია — მას ჰქონდა ამის საფუძველი. ეს არ იყო უსამართლობა სხვა ხალხების მიმართ, იგი სამართლიანი იყო ებრაელობის მიმართ.

ეს არ არის პირველი შემთხვევა მაღალჩინოსანი მუსლიმი მოღვაწის მხრივ ისრაელის სახელმწიფოს აღიარებისა.

### სახელმწიფოს შექმნა თუ სახელმწიფოებრიობის აღდგენა?

მინდა მკითხველს გაუზიარო ერთი მოსაზრება, რომელიც ვფიქრობ, საყურადღებო უნდა იყოს თანამედროვე ისრაელის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის:

დღეს ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადების თარიღად ითვლება 1948 წლის 14 მაისი და აქედან გამომდინარე, ამ დღეებში ვზეიმობთ ისრაელის სახელმწიფოდ გამოცხადების 70-ე წლისთავს.

ასე მგონია, რომ ეს არ უნდა იყოს სწორი შეფასება ისრაელის სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვანი ეტაპებისა: 1948 წელს სიონიზმმა ისრაელის სახელმწიფო კი არ შექმნა, ღვთის ნებითა და ებრაელი ხალხის, სიონიზმის მოღვაწეთა დიდი, უზარმაზარი ძალისხმევით, აღდგენილი იქნა საუკუნეების წინათ იავრქმნილი ისრაელის სახელმწიფოებრიობა. ისრაელი არ არის 70 წლის სახელმწიფო. ისრაელის სახელმწიფოებრიობა 3000 წელზე მეტს ითვლის. შესაძლოა, გამიწიონ ოპონირება, რომ ჯერ ასირია, შემდეგ ბაბილონი, ბოლოს კი -- რომის იმპერია ისრაელის სახელმწიფოებრიობას კი არ ებრძოდა და ანადგურებდა, ის სხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო. დიას, იყო იუდეის სამეფო, იყო ისრაელის სამეფო და ორივე გახლდათ ებრაელი ხალხის სამშობლო სახელმწიფო, რომელიც შემდეგ გაერთიანდა. მთავარი კი ის არის, რომ ეს იყო ებრაელი ხალხის სახელმწიფო, რომელიც სამწუხაროდ, მიხდება გამეორება: მიწასთან გაასწორეს, გააცამტვერეს, იავარყვეს. დღევანდელი სახელმწიფო ისრაელი კი სამართალმემკვიდრეა და გამგრძელებელი ადრინდელი ებრაელი ხალხის სამე-

### „ისრაელი სეფარდებს რომ დამარსებინათ...“

„ ისრაელის სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკის ებრაელობას რომ დაეარსებინა, იგი კარგა ხნის წინათ იქცეოდა კიდევ ერთ არაბულ სახელმწიფოდ“ — ბეერ-შევის რადიო „დარომისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა ქალაქ სდეროთის ყოფილი მერმა ელი მოალიმ.

ასეთი განცხადება ქალაქის ყოფილი მერმა გააკეთა იმის გამო, რომ დასმული იქნა საკითხი ქალაქის იმ ქუჩებს, რომლებიც სახელმწიფოს დამაარსებელი აშქენაზი ებრაელების გვარების მატარებელი გახლავან, სახელი გადარქმეოდათ. ისინი სეფარდების, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ აფრიკელი-მაროკოელი ებრაელების მიმართ, დისკრიმინაციას ეწეოდნენ. თავად ელი მოალი მაროკოდან ჩამოსული სეფარდი ებრაელია — მისი მშობლები ისრაელში გადმოსახლდნენ 1957 წელს, როცა მომავალი მერი ოთხი წლისა გახლდათ.

— ძალიან კარგია სეფარდებმა აშქენაზები რომ მოინვიეს ქალქში, ასე რომ არა აქ, ახლო აღმოსავლეთში, ჩვენ შევქმნიდით კიდევ ერთ არაბულ სახელმწიფოს. სიმართლეს უნდა მივსდით და გავბედთ სარკეში დავინახოთ საკუთარი თავი: რამდენი უნივერსიტეტი იყო მაროკოში, რა ვიცოდით ჩვენ განვითარებულ ქვეყნებზე? დღეს ჩვენ გვაქვს სახელმწიფო, დემოკრატია. როცა კულტურათა ცვლილების საფასურს პირველი ორი თაობა იხდის — მთელი მსოფლიო ამ გზას გადის და ამას ვერაფერს მოუხერხებ.

ამასწინათ ნეთანიაჰუ სახელი გადაარქვეს გიორა იოსეფტალის ქუჩას, რომელიც 1959-62 წლებში ისრაელის მთავრობაში სხვადასხვა პოსტებს იჭერდა, ხოლო ისლამური სახელმწიფოებიდან გამოსულთა ორგანიზაციამ „დემოკრატიული ცისარტყელა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის“ უკვე მიმართა ქნესეთის 120 დეპუტატს და მოითხოვა სხვა „რასისტი“ თანამემამულეების სახელობის ქუჩებსაც გადაარქვან სახელწოდება.

### არაბმა დეპუტატებმა დამოუკიდებლობის დღეს ისრაელი „კალესტინის მიწად“ გამოაცხადეს

19 აპრილს „ნაკბის მარში“, რომელიც ქნესეთის არაბმა დეპუტატებმა ჩაატარეს, რამდენიმე ათასმა ისრაელელმა არაბმა მიიღო მონაწილეობა. დემონსტრაციაში არაბი დეპუტატები და ცნობილი პალესტინელი მოღვაწეები მონაწილეობდნენ. „ნაკბის მარშის“ მონაწილე პალესტინელებს მოჰქონდათ პლაკატები: „ „ეს ჩვენი მიწაა!“, „რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენი მიწის დასაბრუნებლად ვებრძობებით!“ „ „პალესტინისათვის თავს გავწირავთ!“, „დაზა ჩვენი სიამაყეა!“

დემონსტრაციის ჩატარების დღე საგანგებოდ გახლდათ შერჩეული-არაბული თემის აქტივისტებმა იგი „პალესტინელი ხალხის ეროვნული ტრაგედიის“ დღეს — ისრაელის დამოუკიდებლობის დღეს და 70 წლის სადღესასწაულო თარიღს დაუკავშირეს.

ქნესეთის წევრმა აჰმედ ტიბიმ დემონსტრაციაზე განაცხადა:

— ის, რაც 1948 წელს მოხდა, ეროვნული ტრაგედიაა. ასი ათასობით პალესტინელი დღემდე იმ დასახლებული პუნქტების სიახლოვეს ცხოვრობს, საიდანაც იმ დღეებში აჰყარეს, განდევნეს. რა იქნება იმაზე უფრო ბუნებრივი, ჰუმანური და სამართლიანი, ვიდრე ის, რომ ეს ადამიანები თავთავიანთ სახლებში დააბრუნონ და დაუბრუნონ მათ წართმეული ქონება.

დემონსტრაციის მონაწილეებს პალესტინის ასობით დროშა და იმ პალესტინელთა ფოტოები მოჰქონდათ, რომლებიც დღეს ისრაელის უშიშროების ხელყოფისათვის ებრაული სახელმწიფოს ციხეებში არიან.

მკითხველს ვაუწყებთ, რომ არაბული სამყარო „ნაკბად“ — კატასტროფად მოიხსენიებს 1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს შექმნას.

ფოებისა, ისევე, როგორც ჩვენ ვართ მემკვიდრენი ჩვენი წინაპრებისა და გვეკუთვნის ადრეულ საუკუნეებში ებრაელი ხალხის მიერ შექმნილი უზარმაზარი კლასიკური მემკვიდრეობა.

ისტორია ყველამ როდი იცის: როცა ვამბობთ, ისრაელის სახელმწიფო 70 წლისააო, ებრაელი ერის, ისრაელის სახელმწიფოს არაკეთილმოსურნეთ — მტრებს შეცდომების კორიანტელში ვხვდეთ — ჰგონიათ, რომ ებრაელები ამ მიწაზე 70 წლის წინათ მოვიდნენ, დაიკავეს მიწა, რომელზეც თავად ცხოვრობდნენ და სახელმწიფოც შექმნეს, მაშინ როდესაც მართალია, ებრაელები სხვადასხვა საუკუნეების დამპყრობლებმა სამშობლოდან აჰყარეს, მაგრამ ამ მიწაზე ერის გარკვეული ნაწილი ყოველთვის ცხოვრობდა. ებრაელთა სამშობლოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული დამპყრობელი ეუფლებოდა, ებრაელობა კი სამშობლოში ცხოვრებას განავრცობდა. აქედან გამომდინარე, ებრაელობა ამ მიწაზე მე- 19-20 საუკუნეებში კი არ მოვიდა, ისტორიის ამ მონაკვეთში ერმა მოახერხა საუკუნეების შემდეგ საკუთარ ოჯახში დაბრუნება და ძმებთან შეერთება.

ასე რომ, ისრაელის სახელმწიფო სამი ათასზე მეტი წლისაა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობის - იომ ჰაცმანუთის დღეებში უნდა ვიდღესასწაულოთ არა ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადების 69,70, თუ მომდევნო წლისთავები, არამედ უნდა აღვნიშნოთ ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის 69,70, თუ მომდევნო წლისთავები, ე.ი. ახალი სიცოცხლის დაწყება იმ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისა, რომლებიც მტრებმა მოსპეს, გააცამტვერეს.

**P.S.** შარშან მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტების ბინამინ ნეთანიაჰუსთან მისსავე კანცელარიაში შეხვედრისას, ეს საკითხი წამოვჭერთ. ვიცი, ამას დრო ჭირდება, მაგრამ საკითხი უნდა გადაწყდეს.

გურამ ბათიაშვილი



# რობორც იქნა, გოლდა მიირის მამაკვიდრა გამოჩნდა



ვინ არ აძაგებდა ბინიამინ ნეთანიაჰუს, გალუთური მენტალობის ებრაელთა გულებსა და გონებაში ვინ არ თესდა პანიკას, ციპი ხოტოველს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ რომ ნიშნავდა. ნეთანიაჰუმ კი კარგად იცოდა, რასაც იქმნოდა: ამ ახალგაზრდა ქალს დიპლომატიური გამოცდილება აკლდა, მაგრამ ამ გამოუცდელი პატიოსნება და თავის სიმართლეში დარწმუნებული ადამიანის ძალა მოსდევდა. უწინარესი კი ის გახლდათ, რომ მას მტკიცედ სჯერა ებრაელთა უფლებებისა იცხოვრონ ერეც ისრაელში. ამის თაობაზე მან მთელი მსოფლიოს გასაგონად თქვა. მართალია, ციპი ხოტოველს ამის თაობაზე გაეროს ტრიბუნლიდან არ უსაუბრია და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს გამოუცხადა, მაგრამ მისი სიტყვები ყველამ კარგად გაიგონა. ისრაელელი დიპლომატები ათეულობით წლის განმავლობაში ცდილობდნენ ყოფილიყვნენ არა მართალინი, არამედ წინდახედულნი, გამოეჩინათ სიბრძნე. ამ პოსტულატიდან გამომდინარე, ისრაელმა ყური მიუგდო და გაიზიარა კიდევ ჰენრი კისინჯერის რჩევა და ქიფურის ომში გამარჯვება, ვაითუ, არაბი მეზობლები გავალიზიანოთო, საკუთარ დამარცხებად გამოაცხადებინათ. ამგვარი სიბრძნიდან გამომდინარე, ისრაელი ყოველთვის იზიარებდა ფორმულას: „ტერიტორიები მშვიდობის სანაცვლოდ“ - ტერიტორიებს უთმობდა და თავის ყოველ ნაბიჯზე ბოდიშს იხდიდა.

გამოჩნდა ციპი ხოტოველი და ხმამაღლა განაცხადა: „მამინ როცა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ისრაელის არსებობის საკითხი, დიდად მნიშვნელოვანია იყო მართალი!“ ეს განცხადება ხოტოველმა მსოფლიოში მიმოფენილ ისრაელის 120 დიპლომატთან გააკეთა.

-საერთაშორისო თანამეგობრობა დაფიქრებულია მორალსა და სამართლიანობაზე, აუცილებელია ჩვენ მივუბრუნდეთ სიმართლეს - ჩვენს უფლებას ამ მიწაზე ცხოვრებისა.

ციპი ხოტოველმა მოიყვანა დასახლებათა მოძრაობის ლიდერის ური ელიცურის ციტატა, რომელმაც ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში არაბთა მოთხოვნაზე „ჩვენი მიწები დაგვიბრუნეთო“ თქვა ისრაელი პასუხობდა: „ვერ დაგიბრუნებთ, რადგან ჩვენ გვაქვს სტრატეგიული ინტერესები და პრობლემები უსაფრთხოების თვალსაზრისით“ ეს მძარცველის არგუმენტი. მაგალითად, ადამიანს შესძახეს, პალტო გაიხადეო, ის კი პალტოს გახდაზე უარს ამბობს იმ საბაბით რომ სცივა. ამ კაცს ძალიან უბრალო და ლოგიკურ კონტრარგუმენტს ნაუფიქრებენ: „დავუშვათ მართალი გცივა, მაგრამ ვისია ეს პალტო, ვის ეკუთვნის? თუ შენი არ არის, ახლავე გაიხადე!“ ამ შემთხვევაში აუცილებელია დაიცვა შენი სიმართლე და განაცხადო: „პალტოს გახდაზე იმიტომ კი აღ ვამბობ უარს რომ მცივა, არამედ იმიტომ რომ ჩემია და მეკუთვნის მე, მხოლოდ მე!“ საერთაშორისო საზოგადოებას შესანიშნავად ესმის ისრაელის სტრატეგიული და თავდაცვითი პრობლემები, მაგრამ ის ადგას სამართლიანობის გზას: თუ პალტო შენ არ გეკუთვნის, მიეცი!“

ციპი ხოტოველმა გაიხსენა ეჭუდ ბარაკის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის შლომო ბენ-არის სიტყვები, რომელმაც 2000 წელს, კემპ-დევიდში რიგითი მოლაპარაკების შემდეგ შენიშნა: „შემექმნა შთაბეჭდილება, რომ არაბებს არა იმდენად კონფლიქტის მოგვარება სურთ, რამდენადაც ჩვენი საბრალდებო სკამზე დასმა, რომ გამუდმებით თავის მართლებას გავიძულებდნენ. მათ საკუთარი სახელმწიფოს შექმნა კი არ სურთ, ის უნდათ, ჩვენ გავყარონ ჩვენი ქვეყნიდან“ შლომო ბენ-არის კი მემარჯვენეობას ვერავინ ვერ დასწამებს. „აი, ამიტომაც-დასძინა ციპი ხოტოველმა-სიონისტებისაგან განსხვავებით, ისინი არ არიან მზად არა-რა კომპრომისისათვის“.

ციპი ხოტოველმა ასევე გაიხსენა თორის დიდი კომენტატორის რაშის სიტყვები, რომელმაც პასუხი გასცა ამ მტკიცებულ საკითხს: რაში წერდა: შემთხვევითი არ არის, რომ თორა იწყება სამყაროს შექმნით. იმ დღეს, რა დღესაც ისრაელს მოიხსენიებენ მძარცველად, რომელმაც სხვა ხალხებს ერეც-ისრაელი გამოსტაცა, ებრაელებს ძალუძთ მიუგონ, რომ მთელი ქვეყნიერება ეკუთვნის ღმ-რთს და იმას უნანილებს, ვისაც ამის ღირსად მიიჩნევენ.

— თუ ებრაელები დარწმუნებული იქნებიან, რომ სწორი გზით მიდიან და ეს მათი მიწაა, მთელ სამყაროსთან ყველა საკითხს მოაგვარებენ — გაიხსენა ციპი ხოტოველმა მეოცე საუკუნის საფრანგეთის ებრაელობის ლიდერის რაბი იეჰუდა ლეონ აშკენაზის სიტყვები.

არც ის გახლავთ უმნიშვნელო, რომ ბოლო წლებში ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო ერთგვარად მეორეხარისხოვან ფუნქციას ასრულებდა, მის მიერ გასაკეთებული საქმეები გადამისამართებული გახლდათ სხვა სამინისტროებზე, მათს შორის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრის აპარატსა და იუსტიციის სამინისტროზე. ციპი ხოტოველმა ელჩებს აღუთქვა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს თავის სტატუსს დაუბრუნებდა.

ესმის კი ბინიამინ ნეთანიაჰუს, თუ რამდენად უპერპექტივო და სასიკვდილოდ დამლუპველიც კია ფორმულა: „ორი სახელმწიფო ორი ხალხისათვის?“ რასაკვირველია ესმის, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ იტყვის. ამიტომ იძულებულია ლავირებას ეწეოდეს - ჩაილაპარაკებს ორი სახელმწიფო ორი ხალხისთვისაო და იქვე დასძენს, მაგრამ ახლა არა, ჯერჯერობით ამის დრო არ დამდგარაო. მისი, რასაკვირველია არ სჯერათ, მატყუარას ეძახიან. და აი, „რატომ არ უნდა ვთქვათ სიმართლე?“ სიმართლე კი ის არის, რომ მოდის დიპლომატიაში „გაუზრდელი ბაღლი“ და სვამს კითხვას:

**„რატომ არ უნდა ვთქვათ სიმართლე? სიმართლე კი ის არის, რომ, ისრაელის მიწა ეკუთვნის ისრაელის მოსახლეობას!“ მართლაცდა,**

კითხვაზე ბოლოსადაბოლოს როდის დადგება დღე, როცა ებრაელები წაეთრევიან იუდეიდან, არ შეგვიძლია ვუპასუხოთ: „არასოდეს!“ ჩვენ არასოდეს არ წავალთ ხევრონიდან-იუდეის პირველი დედაქალაქიდან, იმ ქალაქიდან, რომელშიც ებრაელი ერის მამამთავრები არიან დასაფლავებულნი, ჩვენ არასოდეს არ წავალთ ბეთ ლეხემიდან, იმ ქალაქიდან, რომელშიც დაიბადა მეფე დავითი. აქ არის ჩვენი დედამთავრის რახელის საფლავი. ჩვენ არასოდეს არ წავალთ იერუსალიმიდან, არც არასოდეს გავყოფთ მას, რადგან არ ძალგვიძს მკერდიდან ამოვიგლიჯოთ გული და ორად გავყოთ იგი. თქვენ არც არავინ გეკითხებათ იმ მიწა-წყლის ბედ-იღბალს, რომელიც ღმ-რის კუთვნილებაა. ორი ათასი წელია ჩვენს განადგურებას ცდილობთ, ორი ათასი წელია გინდათ, ფერფლად გვაქციოთ და თქვენი ბრალი არ არის, ეს რომ ვერ მოახერხეთ. ჩვენ გადავრჩით, ჩვენს მიწას დავუბრუნდით და აღარასოდეს წავალთ აქედან, ჩვენ გვაქვს დოკუმენტი, რომელთან მიმართებაშიც გაეროს ყველა რეზოლუცია ფარაგინა ქალაქიდან. თქვენი სურვილი, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, განადგუროთ ებრაელთა სახელმწიფო, შეიძლება შედარებული იქნას მხოლოდ იმ სარკინიგზო ხაზების დაბომბვის პრინციპულ უარყოფასთან, რომლითაც ებრაელები ოსვენციმის ბანაკში გასანადგურებლად გადაჰყავდათ, ან ფაშისტების სურვილთან თავიანთი გადაშენების წინა დღეებში მოესპოთ რაც შეიძლება მეტი ებრაელი.

დღეს ახლო აღმოსავლეთი იმკის ბარაკ ობამას, კლინტონისა და კერის პოლიტიკის, მათი ეგრეთნოდებული „თავშეკავების“, „ძმებ-მუსლიმებთან“ ლაციცის, „არაბული გაზაფხულის“ შედეგს. ობამა ცდებოდა, როცა ფიქრობდა, რომ ირანთან ატომის საკითხზე შეთანხმების სანაცვლოდ, ირანი სუნიტ მოჯახედებს დაუნყებდა ბრძოლას. ირანმა გადაწყვიტა არ ჩაერიოს არაბთა შორის „საქმის გარჩევაში.“ ამიტომ მართალია ციპი ხოტოველი, როცა ამბობს, რომ ისრაელის არსებობის საკითხი დგას საფრთხის ქვეშ. ცოტაა იყო ბრძენი, მტკიცედ უნდა გჯეროდეს შენი სიმართლისა. ეს იმიტომ რომ ახლო აღმოსავლეთის გადარჩენის ერთადერთი გზა ძლიერი ისრაელია.



მარსკვლავითური ხელვაა სინაგოგა

(სერიიდან: „მე ვხატავ სალოცავებს“)

2017 წელი, უღრუბლო ნოემბრის წყნარი და უმნიშვნელოვანესი დღე; ქალაქი სამტრედია, გამჭვირვალე იდუმალეზბათა სავანე — კულაში, მზის მაცოცხლებელ თბილ სხივებშია გახვეული, მაგრამ ირგვლივ ძალიან სევდიანი მარტოობა ბინადრობს. ებრაელთა უფლისმეიერი ძველი და ახალი, სალოცავი ფიქრებში ჩაძირული კაცთათვის უცნაური მიუწვდომლობაა. ერთ-ერთი — შედარებით ძველი სინაგოგა ეზოს სიღრმეში ამაყად მდგარი, ჩემულის, გრძნობებით ავირჩიე და გატაცებით დაეხატე. მონმენდილ მინდორზე, სიყვითლემესული, მეჩხერი თანაბარი მდელო, საამოდ განფენილა და ოდნავ წინ, ბრონეულის იდუმალი ხეების ბუჩქი მდუმარედ რომ ამშვენებს იქაურობას, ულამაზესია ებრაული ეზოს საერთო ხედი და თითქოს უახლოესი ვარსკვლავები ზანტად დაცურავენ აქ...

ახალ ფერწერულ ტილოზე ვიმუშავე მძაფრი, დაუზოგავი ემოციური დატვირთვით და სულიერად სრულიად სხვა სივრცეში გადაართულს, სურათი მგონი თავისებური კოლორიტ-განწყობილებით გამოვივიდა, ნახატზე იგრძნობა გულწრფელი სიყვარული, უბრალოება, სითბო და უცხო პლანეტისეულ მოტივთან სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება, პატივი და მოკრძალება... დილიდან სალამომდე შეუსვენებელი ადგილზე ვდგავარ, ვეცნობი, ვხატავ და ვგრძობ ირგვლივ მაინც საკვირველი იდუმალეზბა იმალება. მე დღეს სუფთა ტილოზე კეთილმინდობით ფერებით გადამაქვს კაცობრიობის წინაპართა მნიშვნელოვანი სალოცავი კოსმოსური სხივთ ძალა, აქ, განსხვავებულსა და უცნაურ ასტრონომიულ ადგილს, ყოველი მიწის გოჯ-მტკაველს და თავად სალოცავ სინაგოგას, ჩვენი პლანეტის სიძველის სულიერი შეგრძნების გაურკვეველი სუნი ასდის და ფანტასტიურ გარემო სივრცეშივე ვრცელდება.

ქართულ-ებრაული ორიათას ექვსასწლიანი ურღვევი მეგობრობის ისტორიის უკვდავ მოლეკულათა მოძრაობაცაა ირგვლივ უხილაობის მიუწვდომლობაში. როგორც მოგახსენებ, ჩვენი ცხოვრების საერთო უღვევი გზა წინაა და მომავალში ყველაფერი მისაბაძი ურთიერთმეგობრობითი ქმედება წმიდა სიყვარულით შეიმეცნება. შესაძლოა, მაღალმა სიახლე კულტურაცივილიზაციამ ადრეულად მიიყვანოს ადამიანი მგ შეგნებამდე და რელიგიური ურთიერთგაუცხოება და სიძულვილი საერთოდ ნაიშალოს, რითაც კაცთა მოდგმამ სამყაროში იდრმეივად მშვიდობიანად და კეთილი კავშირით უნდა იარსებოს თავის დამყოლ დედა პლანეტასთან ერთად...

პირადულ მკვიდრ, მარტოსულ-სიმართლეს, მრავალმხრივი ძალა და საშუალება რომ ჰქონდეს, ბევრ ულამაზეს ებრაულ სინაგოგას დავხატავდი ისეთივე შეგნებით და კეთილგანწყობილებით, როგორც ჩემს ეკლესია-მონასტრებს. ასევე ფერწერულ ტილოზე გადავიტანდი საოცარ ბუდისტურ ტაძრებს, მუსულმური კი მრავალი მაქვს დახატული ტრაპიზონში და მის გარშემო. ყველას დიდი მონდომებით და გატაცებით ღრსეულ სურათებად ვაქცევდი, აგრეთვე უძველეს პირამიდებს, მითოსურ სფინქსს, სარკოფაგებს, სამარხებს, აკლდამებს და წარჩინებულთა საფლავებსაც.

განმარტოებულ, მდუმარედ დაბინდულ კულაშის სინაგოგას ვხატავდი და უხილავი მეორე მხარე კი ცისფერ ლეგენდად ილანდებოდა ჩემს წინ, რომლის სიტყვიერი აღწერა შეუძლებელია, მხოლოდ ის, განმარტოებით ჩემთან ერთად დადის, ერთობლივად დროებით და ისევ გაუცხოებაში შთანთქმება. ამიტომაც საფლავები მრავალთა კოსმოსურ იდუმალეზბათა სამარხი. რამაც თავისუფლად მხოლოდ ვარსკვლავები აღწევენ და ლამლამობით მათ ტალღოვანი რხევით გამოაციურებენ: ისინი კი მიუყარება თვითნებანი არიან და თავის გაღერებებს ჯიუტად ისევ უბრუნდებიან.

საკმაოდ დადებითი, აქვე ახლოს მცხოვრები კეთილი მეზობლის მიერ მორთმეულ თეთრ სკამზე ჩამოვჯექი. ჩემი დამხმარე და თანამდგომი, უმცროსი გოგო მანა, სინაგოგის ეზოს მომვლელ ყურადღებიან და კეთილშობილ ქალბატონ ქეთევანთან საუბრობდა. მე კი ზეციურობამ კვლავ უხილაობაში გადამართო და ათასწლოვანი თუ საუკუნეებიდან თანდაყოლილი ებრაული კეთილი თვისება, მშვიდი ურთიერთმოფერებით მიმნდობი და ყურადღების მიმქცევი ჩურჩული მომესმა თითქოსდა წარსულის ბუნდოვანი სიღრმეებიდან ლანდებად ამოყოლილი.

თანვე მეჩვენება, ჩემს წინ მოაბიჯებენ დარბაისეული, სხვადასხვა ასაკის დინჯი ებრაელები, ზოგი გათეთრებული თმით, თავზე ტრადიციული ქუდდამშვენებულნი, ყველას მომღიმარე კეთილი სახე ჰქონდა — თვალის უპეები ოდნავ ცრემლიანი და მიუწვდომელი ხედვა-მზერით. თითქოსდა არამინიერნი, მილიონობით წლების გაღმევი.

ამ შემთხვევაში მშობლიური პლანეტისთვის უცხო ზეციურ ელემენტებს ვგრძნობდი, მაგრამ გამოხატულად ვერ ვაცნობიერებდი. მზე, მთვარე, დედამინა, ცა, ვარსკვლავითური განრეო და წარსული ანწყობი აქ იყო, მაგრამ უძირო სინაგოგა თითქოსდა მაინც განმარტოებული, ჩაუნვდენლობის ნისლად უსასრულობაში ჩაძირულიყო. სიღრმისეულად ჩაფიქრებულ მოტივს შელამებამდე ჩაუშხლავი ვხატავდი, ღამე შორეული სევდიანი ფიქრებით მოდიოდა, სინაგოგას კი არაფერი არ ეკარებოდა, რატომ რა ხდებოდა აქაც ვერ გავერკვევი. ზოგჯერ არავითარი უცხო, უფრო რეალური ხმები — მოჩვენებები კი არა, მხოლოდ კეთილი ქართველების კანტი-კუნტი შეძახილები, საუბრები და მოსიყვარული

სახეები გაიღვებდნენ ჩემს წინ. მერმე, შესვენებისას სალოცავის ჩრდილოეთით გავიარე და ებრაელთა სასაფლაოს რომ გადავხედე, მდუმარე უძრავ მუქმწვანე ოკეანედ მომჩვენა და ჯერ გამოუცდელი მიუწვდომელი არაადამიანური შიში ვიგრძენი, მერმე სალამოს, განშორებისას, უფრო ახლოს მანქანით რომ გავიარეთ, თითქოსდა ჩემს წინ უხილაობაში ჩაძირულ სევდით სავსე ვარსკვლავთს ვხედავდი. რა იყო ეს, ახლაც ვერ ვხვდები. როგორ ანალიზს არ ვაკეთებდი, უკაცრიელობამ და ღვიძლ პატრონთა სინაგოგის მიტოვებამ ხომ არ წარმოშვა ამდაგვარი ფიქრები და ხილვები? მაშინ ადამიანური შინაგანი ხმით წამოვიძახე: მე ხომ შენთან ვარ, დიდებული მეგობარო, მაგრამ უმალ ვიგრძენი, ძალიან სუსტი ბგერა იყო მისთვის და ჩემთვისაც. რა ხდება, უფალო! რამხელა მარადიული საიდუმლო სირთულეები გავვიჩინე, ჩვეთთან ხარ ყოველმხრივ და შენით ვართ, მაგრამ ძალიან შორეულში და თითქმის მიუწვდომელში ტახტოვებ! აქაა დიდი უსასრულობა ყველაფრისა... ახლა, ამ გამორჩეულ ფერწერულ ტილოს რომ ვუმზერ, იმ დღეს განსხვავებულმა ზეძალამ ხომ არ დაამწინათ თავისი გაურკვეველი კვალი-მეთქი?! ნუ გაუკვირდება წარსულის და შემოფოთებული ვფიქრობდი, თითქოსდა საიდანლაც უდიერი ქარისგან გულის წამრთმევი ღია კარის ჭრიალი ისმის, დროგამოშვებითი ყრუ ბრავუნიც გავარდებო მონოტონური. ასევე, ფსიქოლოგიურად ტვირთმიძიმე მიტოვებულ ამჟამად ისტორიული ძეგლის შიშისმომგვრელი უკაცრიელობა, აქაური უებრაელობა და დამთრგუნველი სევდისმომგვრელი უიმედო დუმილი; ძალიან შორეული და საოცრად ვარსკვლავითური მძიმე ხმა. უძველესი პლანეტის გაურკვეველი სულიერ-მოჩვენებით ფორმები ტრიალებს ირგვლივ და ლაჟვარდისფერი სრულიად გაუცხოებული წრთილი მოძრაობითი განწყობილებაა, თითქოსდა მიმზიდველი და სულის დამატყვევებლად ოცნებამიძაჭველი. ფიქრობ, იხსენებ, მძაფრად განიცდი და ამაღლებული სათნო გრძნობებით გებრალეხა აქაურობა, ამგზნები უძველესი რელიგიური კულტურის კოსმოსური სასწაულებრივი ძაფის ურღვევი დაბინდვაა.

მიუტყვევებლად უხამსი — ზოგიერთნი და სამწუხაროდ, ბევრნიც იტყვიან ხოლმე (უფრო სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხიდან), რომ ებრაელები თავისებური და უცნაური ხალხია; აქ უეჭვოდ ქვეადამიანური შურია მათ მიმართ. ღიზიანდებიან მაღალი ნიჭის — გენიით, გამორჩეული სევდის და მიმზიდველი სიმშვიდით. განსხვავებული ტრაგედიის, უტყუი და უღალატო ძლიერი რელიგიურობით, ასევე თვითმყოფადი შინაგანი ფსიქოლოგიური გამორჩეულობით, უცხოთგან მიუდგომელ-შეუვალი რჯულის დაუშლელობის და საკვირველი ეროვნული მთლიანობის მიმართ...

ებრაელობა თავად ღმერთთა გაინდივიდუალურებული საერთო მიუწვდომლობით: რადგანაც უფლის მიმართ შური და განზე დგომა უაზრობაა, ამიტომ მათთან ღვთისმბიერი ახლო მიდგომაა საჭირო... აქედან გამომდინარე, შედარებისთვის კაცობრიობა პატივით უნდა იხსენებდეს, უძველესი შუმერებს, ხეთებს, ქალდეველებს, ბერძნებს, უძველეს კოლხებს, ეგვიპტელებს, აცტეკებს, მაიას ხალხს, ინკებს, ჩინელებს და სპარსელებს. ინდოელებს, ძველ სომხებს, იბერიელებს, ჩაძირულ ატლანტიდებს, სამყაროს ნისლში გახვეული ზეციურ ტროას, ბაბილონს, ისტორიულ ებრაელებს — დღევანდელთა ჩათვლით. რომაელებს, იტალიელებს, ესპანელებს, ფრანგებს, გერმანულ მრავალმხრივ ნიჭს, პოლანდია, დღევანდელ და შორეულ სკანდინავიელებს, აგრეთვე მრავალი დროის ისტორიის მიღმა მივიწყებულს, თუ ვარსკვლავთის მესიერებაში ჩაბინდულთ; რომლებმაც ჩვენს პლანეტაზე სხვადასხვა ათასწლეულებში ცივილიზაციისა და კულტურის ჩაუქრობელი, ურთიერთისგან განსხვავებული ნიშნები რომ დაბადეს...

როდესაც ქრისტიანულ ტაძრებს ვხატავ, მართლმადიდებლური იქნება, თუ კათოლიკური (ბევრჯერ ადგილზე მაქვს დახატული პარიზის ღვთისმშობლის უნიკალური ტაძარი, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქალაქში ინახება), თითქოსდა, უფლის სიახლოვესთან ერთად ეკლესიის და პირად აღლევებულ სულსაც ნიუანსებით ვაფერწერულედი, მაგრამ სინაგოგის ხატვისას უკვე განცდა-ემოციურობით დედამინაზე არ ვიმყოფები, დღეს რალაცნაირად უძღვევლმა ძალამ ამიტაცა და ზემინიერ სივრცეში გამაერთიანა, აქ ადამიანზე ზოგად-ღუცნობი არარელიგიური გავლენაც მოქმედებს. თითქოსდა ყოველივე გლავტიკეებით შორეულია და იქვე ჩემულისე ფსიქოლოგიურად გამოუცნობი, ანდამატური ნერვიული ქსელით. ამ ურთულეს განწყობილებას პლანეტარიუმის მთლიანობის მაგნიტსხივი ხომ არ ქმნის? ასევე გონებრივი სულიერი საღი აზროვნებით ვგრძნობ, გულმარდ არტერი-კაპილარებიც სულ სხვანაირად მიმოქცევიან და სრულიად განსხვავებული ფიქრებიც საგრძნობლად მიღრმავდება. ირგვლივობას კი უჩვეულოდ ვიღებ და გამორჩევი



ცნოსავ დედამინის და ზეცის წარმოუდგენელ სულიერ და იდუმალ შეგრძნებას. ამ საკვირველებას, რა თქმა უნდა, ზესამყაროსეული მიუწვდომლობა ქმნის.

სუნთქავს დედამინა — სივრცე და სამყარო, განმარტოებულ სინაგოგასთან ერთად, რითაც კოსმოსური მთლიანობაა სანუკველი...

უფალოთნ ებრაელთა მარადიული სიახლოვე კოსმოსური უმდიდრესი მცნებაა...

კულაშის სინაგოგა მინას და ცას შერჩენილი მარტოხელა კეთილი ჩაუქრობელი და სიმბოლური ვარსკვლავია...

ებრაელთა იდუმალი ურთულესი ეროვნული სულიერი ფორმულის სრული ახსნაა უფალოთნ მარადიული სიახლოვე, მათი გამორჩეული სარწმუნოობა მტკიცე და მზისმიერია.

დღევანდელ დამატყვევებელ მოტივზე გატაცებით ვმუშაობდი, პალიტრის — ფერების და ფუნჯთა სულისმიერი სიცოცხლე მონაცვლეობით ჩართული და ჩემთვის ოდნავ დაღვრემილი ვფუფღუსებდი. ზეციური-მინიერ სევდაში მოქცეული სინაგოგა ხომ ერთ-ერთთაგანი ქვეყნიური სალოცავ-საოცრებაა შინაგანი მარად მიუწვდომელი და გალცალკეებული მრავალმხრივი ბუნებით.

ზეცად ამაღლებული სინაგოგის ფერწერული სურათის შექმნისას მთელი დღე ჩემს უცნაურ გამომსახველობით მეხსიერებაში გენიალური მხატვრის, პაბლო პიკასოს ცისფერი პერიოდის ლარიბი ებრაელის ფიგურული პორტრეტი მელანდებოდა, რომლის მინიერ-ზეციური უძირო რასიული, მკვეთრად განსხვავებული სევდა, ირგვლივ მრავალსახოვან ცისფერ ნისლად განევრცო. ამ დროს ჩემში სინაგოგის მიუკარება კოსმოგენური განწყობილება თანდათანობით უფრო იდუმალი და არამინიერი გახდა. მთელი არსებით და სინაგოგისეულ ფილოსოფიურ სივრცეში ჩართული ზეადფორთოვანებული ვხატავდი, განვიცდიდი, ვფიქრობდი, ვაზროვნებდი, ვოცნებობდი და ჩემს წინ დედამინა გაურკვეველ ფორმებს ღებულობდა:

ზოგნი აზრთა განუხილველად იტყვიან, ეს ქრისტიანი ავტორი რამხელა ხოლმე უძღვებოდა სინაგოგებს. დიას! მეგობრებო, ასეა, და, მჯერა... გულმართალი შედარებისთვის მინდა მოვიზრო, ციური სხეულების სილამაზეზე უცვლელი შედარებითი მაგალითი. ჩემს სოფელში, ძველ სენაკში, კარგ ამინდში ღამე, მარტოდ გავივლი ხოლმე ეზოში და სიყვარულით ვათვალისწინებ ცის ვარსკვლავებით გადავსებულ სივრცეს. მიკვირს, ზეცაში თვითნებურად ვიძირები, ვტკეპები მათით და უსასრულობაში ჯადოაისმული ვარსკვლავებიდან თანმიმდევრული ხედვა-ოცნებით გადავივარ და გაოცებული იმ მონაკვეთით განსაკუთრებით ღამის პირველი საათისთვის აღმოსავლეთიდან შუაგულ გუმბათისკენ საკვირველი მნათობთა სიმრავლეა გადანაწილებული, ულამაზესი დიდი და მცირე მრავალფერადი პლანეტებისა ზოგ ადგილას წყვილ-წყვილად რომაა აციმციმებული, რამდენიმე მონაკვეთი კი ორეული, სამეული, ოთხეული და ხუთეულიცაა დაჯგუფებული, აღუწერელი დაუტყვეველი კოსმოსური საოცრებაა თავიანი უცხო უცნაურობებით, მე მიყვარს ისინი და სულიერად ვეტრფი, როგორც თავად მცირედ ნაწილაკი თითოეულის სხივისა. საგანგებოდ მათში პიროვნულად არ ვეძებ და არც ვცდილობ აღმოვჩინო ისინი ებრაული მგრძნობიარობისაა, ბუდისტური, მუსულმური, თუ სხვა ნებისმიერი რომელიმე მინიერ-ჯერ გამოუცხადებელი ზეციური აღმსარებლობისა. ყოველივე, რამდენად შორეულია და მხედველობითაც მიუწვდომელი, იმდენადვე ჩემუელია და თბილ-ახლოვანი, მწამს, პირადი შემოქმედებითი წარმოსახვებით იმ ვარსკვლავთა სივრცეში მოვდივარ. ჩვენ არა გვაქვს უფლება, კოსმოსური კეთილი გამონათება, მათი ფერ-ტონალური განსხვავებულობა და ზეციური მშვენიერება გულ-სულიდან ამოვიღოთ, განვაცალკევოთ, რისგანაც საცოდავი შეუგნებელ-დაცემებით გავხდებით, რომელიც უხსოვარი დროიდან პირველყოფილი ველურობიდან მოედინება: ამგვარი ღვთისნიერ-კოსმიური, სიკეთესიყვარულის შემხვედრნი ვართ ჩვენ საქართველოში, ისრაელში და ბევრგან მსოფლიოშიც, რომლებიც წარმოვადგენთ განწმენილ, ვარსკვლავითურ და მზისმიერ სიჯანსაღეს.



# ქართულ-ებრაული 26-საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობის ტრადიციას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

— ჩვენი უდიდესი სიმდიდრეა, რომ ქართულ მინაზე პირველი ებრაელები 26 საუკუნის წინ დასახლდნენ და მას შემდეგ ჩვენ ერთობლივად ვქმნით ჩვენს საერთო კულტურულ მემკვიდრეობას და ვამდიდრებთ, როგორც - ებრაულ, ისე ქართულ კულტურას, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საზეიმო ღონისძიებაზე განაცხადა, რომელიც ქართულ-ებრაული 26-საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობის ტრადიციისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებას მიეძღვნა.

პრემიერის შეფასებით, მსოფლიოში უნიკალური ფენომენის - ქართულ-ებრაული 26-საუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის აღიარება არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად და ეროვნულ კატეგორიაში მისი გადაყვანა ყველა ქართველისთვის და ყველა ებრაელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

„ეს არის ჩვენი საერთო ზეიმი. გამოირიცხვება, 26-საუკუნოვანი მეგობრობა არსებობდეს უდიდესი სიყვარულის გარეშე. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოში არ

ყოფილა და არ არის ანტისემიტიზმი, საქართველოში გაცილებით მეტი რამ ხდება, ვიდრე ანტისემიტიზმის არარსებობა - ორ ერს შორის არის უდიდესი სიყვარული და განვლილი ამხელა პერიოდი ამაზე მეტყველებს. რა თქმა უნდა, ეს სიყვარული ყოველთვის იყო ორმხრივი და ამის თვალსაჩინო დასტურია კულტურულ-საგანმანათლებლო და რელიგიური კერების არსებობა წმინდა მინაზე. თუნდაც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მაგალითი რად ღირს. სათქმელი ძალიან ბევრია“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველომ უკვე მიმართა იუნესკო-ს, რათა ეროვნული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო დონეზე აღიარება მოხდეს.

„მნიშვნელოვანია, ხვალ უკვე არ ვისაუბროთ 26-საუკუნოვან მდიდარ ისტორიაზე, არამედ დღევანდელი დღე გახდეს დასაბამი შემდგომი კიდევ უფრო ღრმა, კიდევ უფრო ლამაზი და გამდიდრებული ორმხრივი მეგობრობისა. ძალიან დიდი სიხარულით გილოცავთ ყველას ამ დღესასწაულს. მეც თქვენ-

თან ერთად ვზეიმობ ამ დღეს, ჩემს გულში უდიდესი სიხარულია. ეს დღე არის უამრავი ადამიანის ღვაწლის, თავგანწირვისა და ერთმანეთის გადარჩენისათვის ბრძოლის ლოგიკური გამოხატულება. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ პატარა ბინაში ვცხოვრობდით, საძინებელი იყო დედაჩემის კაბინეტში და ისე გავიზარდე, რომ ჩემს პირდაპირ თაროზე წინ იყო გამოდებული ჯემალ აჯი-აშვილის ლექსების კრებული, რამაც ჩემზე ძალიან დიდი გავლენა იქონია. რა თქმა უნდა, ჯემალ აჯი-აშვილი იყო როგორც ქართული, ისე ებრაული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი“, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ქართულ-ებრაული 26-საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობის ტრადიციისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიება დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმში გაიმართა. მუზეუმის ხელმძღვანელმა გივი ღამბაშიძემ პრემიერ-მინისტრს გამოფენილი ექსპონატები დაათვალიერებინა და მუზეუმის



დაარსების ისტორია უამბო. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური

## ამერიკელ ჟურნალისტს ლამის ენა ჩაუვარდა

CNN-ის რეპორტიორს ისრაელის განათლების მინისტრსა და პარტია „ებრაელთა სახლის“ თავმჯდომარის ნაფტალი ბენეტისაგან ინტერვიუს აღებისას, ლამის ენა ჩაუვარდა.

ჟურნალისტმა მინისტრს პროკურორისათვის დამახასიათებელი ინტონაციით ჰკითხა:

— თქვენ არ გსურთ დამეთანხმობოთ იმაში, რომ საუბარია ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მსოფლიო თანამეგობრობა, ნეთანიაჰუს მთავრობის წევრების გარდა, აღიარებს, რომ თქვენ ოკუპირებული გაქვთ პალესტინის ტერიტორია.

ისრაელელმა მინისტრმა მყისვე მიუგო:

— არა, სრულიადაც არ გეთანხმებით. რამდენი წელია თქვენ — ამერიკელები ამერიკაში ცხოვრობთ?

დაბნეულ რეპორტიორს ისლა დარჩენოდა შეკითხვა გაემორბინა:

— რამდენი წელია ამერიკაში ვცხოვრობთ?

— დიახ, დიახ, სწორედ იმას გეკითხებით: რამდენი წელიწადია — 300? ახლა ეს მითხარით: რამდენი წელიწადია ებრაელები წმინდა მინაზე ცხოვრობენ? ოთხი ათასი! მაშ, როგორ ბედავთ ისრაელს უწოდოთ „ოკუპირებული ტერიტორია?!“

## ჩვენი სტუმრები

ფესახის წინა დღეებში თბილისში ჩამოვიდნენ და ეგვიპტელთა მონობიდან ებრაელთა თავდასხმის დღესასწაული ჩვენს ჯამაათთან ერთად გაატარეს ნიუ-იორკის (ქვინსში) ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთის გამგეობის პრეზიდენტმა იოსებ (სოსო) პატარკაციშვილმა და ამავე ბეით ქნესეთში „ხაბადის“ წარმომადგენელმა, ცნობილმა რაბინმა აარონ ხენმა (ხახა-იამშილმა).

სტუმრები გაეცვენნენ ჯამაათის ცხოვრებას, კვლავაც ინტერესით დაათვალიერეს თბილისი და მისი შემოგარენი „გამოთქვეს ალფრთოვანება ქალაქის წინსვლით დაგაკვირვება ქალაქში საცხოვრებლად ჩამოსული მრავალი აზია-აფრიკელით.

აარონ ხენმა ჯამაათი დაატკბო ლოცვის სტილით, რომელიც სამწუხაროდ ჩვენს ყოველდღიურობაში თითქმის მივიწყებას მიეცა, ხოლო 7 აპრილს „სეულა შლიმიზე“ დარაში ჩაატარა, რომელიც ასევე საინტერესო გამოდგა.

## რომის პაპის ზარილი უხანაუს

2000 წლის 26 მარტს იერუსალიმის გოდების კედელთან მივიდა რომის პაპი იოანე-პავლე მეორე(წმინდანი) გოდების კედელში მან ჩასდო ბარათი. ამასწინათ ცნობილი გახდა თუ რა ენერა ბარათში:

ბარათში სულ ორი ფრაზაა: „გვაპატიე ღმერთო, ის უბედურებანი და განსაცდელი, რაც ჩვენს უფროს ძმას — ისრაელიანთ მივაყენეთ“

„ისრაელიანთ, ჩვენს უფროს ძმათ, ჩვენგან — ქრისტიანთაგან: ღირსება, პატივი და ძმობა კეთილი მარადისაკენ მიმავალ გზაზე“.

## კიდევ ორი სახელმწიფო...

კვირას 11 მარტს ორმა სახელმწიფომ-პარაგვაიმ და გონდურასმა გამოაცხადეს, რომ თავთავიანთი ქვეყნების საელჩოებს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიტანენ, მაგრამ ერთი პირობაც წამოაყენეს: ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანი-აჰუ ოფიციალური ვიზიტით უნდა ჩავიდეს ამ სახელმწიფოებში.

ამ ცოტა ხნის წინათ გონდურასი გახლდათ იმ რვა სახელმწიფოს შორის, რომლებმაც გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მხარი არ დაუჭირეს ანტიისრაელურ რეზოლუციას, რომელიც კიცხავდა ტრამპის გადაწყვეტილებას იერუსალიმში საელჩოს გადატანის თაობაზე. პარაგვაიმ კი კენჭისყრისას თავი შეიკავა, მიუხედავად იმისა, რომ ადრე პროისრაელურ პოზიციას ამჟღავნებდა.

შარშან ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის რამდენიმე სახელმწიფო მოიარა, პარაგვაისა და გონდურასში კი არ ჩასულა. მიმოხილველები აღნიშნავენ, რომ უახლოეს თვეებში პრემიერ მინისტრს საზღვარგარეთ ვიზიტს არ გეგმავს.


## შუიწავლეს ებრაელებისადმი დამოკიდებულება

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მოსახლეობის ხუთიდან ოცდათორმეტ პროცენტამდე მოსახლეს არ სურს ებრაელები იხილონ თავიანთი ქვეყნების თანამოქალაქეებად-ეს დაადასტურა აშშ ანალიტიკური ცენტრის — Pew Research Center-ის კვლევამ.

გამოკვლევა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის 18 სახელმწიფოში ჩატარდა. გამოკვლევის თანახმად ებრაელთა თავის თანამოქალაქეებად ხილვის მსურველი ყველაზე ცოტა უკრაინაშია — 5%, სერბეთსა და ბულგარეთში — 7%, ბოსნია-ჰერცეგოვინაში — 8%.

ამ თვალსაზრისით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სომხეთში აღმოჩნდა. სომხეთის მოსახლეობის 32% არ სურს ებრაელობა თავისი ქვეყნის თანამოქალაქეებად იხილოს. ამავე აზრისაა ლიტვის მოსახლეობის 23%, რუმინეთში კი 22%. საქართველოში ასეთი მაჩვენებელი 13% აღწევს.

გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ებრაელებისადმი დამოკიდებულებაში არსებით როლს არ თამაშობს ის გარემოება, ქვეყანა მართლმადიდებელია, თუ კათოლიკური. მართლმადიდებლებიცა და კათოლიკეებიც დაახლოებით ერთი აზრისანი არიან.





# საჭირო დროს საჭირო ადგილზე

— ლ.კ. ჩემო მენახემ, 90-იანი წლების საქართველოში — მეტად რთულ პერიოდში პარალელურად ვმოღვაწეობდი. შენ „ჯოინთის“ წარმომადგენლობას ხელმძღვანელობდი, მე კი — „სოხნუთის“ ეგიდით ულფანი დავაარსე. ერთ-ერთ შეხვედრაზე აღნიშნე, რომ გეამაყება ახალციხური წარმომავლობა. როგორ გაიხსენებ ახალციხეს?

— მენახემ ელაზარი: ბავშვობა და ყრმობის წლები ახალციხეში გავატარე. ებრაელთა ოჯახები სალოცავთან ახლოს სახლობდნენ. ჩვენი მეურნეობაც კი გვექონდა: ძროხა, ქათამები. ზამთრის სარჩოს თადარიგს დედაჩემი ზაფხულიდანვე ინახებდა. იმ დროს ახალციხის ებრაელებს საქორწინო „დარბაზიც“ კი ჩვენი გავაჩნდა. მშობლებმა „ხედერში“ მიმაბარეს. პირველი ებრაული განათლება და გაუხუნარი შთაბეჭდილება ებრაული ყოფისა და ტრადიციებისა, მაშინ მივიღე. როგორც უფროსი ვაჟი, ფესახის „ჰაგადას“ მე ვკითხულობდი, თანაც „თავსილით“ (ქართული თარგმანი), რასაც მე სიყვარულითა და მოწინებით ვასრულებდი. თხუთმეტ იოდე წლისა ვიქნებოდი, როცა შევიტყუე ექვსდღიანი ომში ისრაელის განუყოფელი გამარჯვების შესახებ. ეს ამბავი ბიჭებმა ჩვენებურად აღვნიშნე და მოშე დაიანის სადღეგრძელო შევსვი. „ყივრი, ყივრი ბიჭები“ ქუდებს ჭერში ვისროდით — ჩვენ სულელებში სიამაყემ, საკუთარი ძალების, ეროვნული ენერჯის რწმენამ დაისადგურა ამიტომაც, ჩემი ყველაზე ლამაზი მოგონებები ახალციხის ჯამაათს უკავშირდება.

— ლ.კ. ისრაელში როდის ამოხვედი?


— მ.ე. 1973 წელს, 19 წლის ვიყავი და საქართველოს პოლიტიკა-ნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მაშინ დავუ-ახლოვდი სიონისტური სულისკვეთებით შეპყრობილ ახალგაზრდებს — დავით შიმშილაშვილს, გერშონ ნინუაშვილსა და სხვებს. ჩვენი შეხვედრები სულიერებით იყო აღვსილი. ის მწირი ინფორმაცია, რისი მოპოვებაც რადიოთი — „ისრაელის ხმა“ და „თავისუფლება“ — შეიძლებოდა, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიდა ისრაელის სახელმწიფოზე. მე, უკვე შორიდან მიყვარდა ისრაელი, ამიტომაც ამოსვლისთანავე კიბუცში გავეშურე. მინდოდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ახლოს ვყოფილიყავი იმ ადამიანებთან, რომელთა ერთუზაზმის წყალობითაც არსებობს ეს ქვეყანა. იქ იყო ნამდვილი დემოკრატია, შრომის თანაბრად განაწილება, ებრაული სული. საქართველოდან ამოსვლების ერთი ნაწილი წარსულის ტყვეობაში მოექცა. აქ იყვნენ, მაგრამ, წარსულით სულდგმულობდნენ. მიმჩნია, რომ ამით იმ თაობას ბევრი დააკლდა. ჩვენ ხომ ჭეშმარიტად ნიჭიერი ახალგაზრდებით ვხასიათდებით. საბედნიეროდ, ბევრმა გაარღვია ეს ზღუდე და ქვეყანას დაანახეს ქართველი ებრაელის ნამდვილი სახე. დედაჩემი ძველი მეგობრებით აგრძელებდა ცხოვრებას, ვერ წარმოედგინა შვილის დამოუკიდებლობა და მისივე დაჟინებით დავქორწინდი. სწავლა ბევრ შევის უნივერსიტეტში ჩემივე პროფილით, ქიმიის ფაკულტეტზე გავაგრძელე. ვმუშაობდი დროებით სამუშაოზე. დამთავრებისთანავე ჯარში წავედი და სამხედრო საჰაერო ქვეგანყოფილებაში ვიმსახურე. შემდეგ ვმუშაობდი ქ. აშდოდის ქიმიური მრეწველობის ფაბრიკაში, სადაც

კვლევების და განვითარების აღმასვლის პერიოდში ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანე. 90-იან წლებშიყოფილი სსრკ ქვეყნებში ფართოდ გაიშალა ებრაული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა. მაშინ იცოდა მოშე საქართველოში სოხნუთის წარმომადგენლობას ხელმძღვანელობდა და მისი რჩევით, გავიარე ყველა ეტაპი: შემონგება თუ გასაუბრებანი, რათა სათავეში ჩავდგომოდი „ჯოინთის“ საქართველოს წარმომადგენლობას.

— ლ.კ. რას მოვლოდი და რა დაგხვდათ საქართველოში?

— მ.ე. შენ რა გესწავლება, ჩემო ლია. ეკონომიური, სოციალური თუ უსაფრთხოების მდგომარეობა უკიდურესი მძიმე იყო. შიდა არეულობები, დენტის სუნი და ყველაზე დასანანი კი ის იყო, რომ საქართველოს ებრაული თემი არ იყო გამოკვეთილი, ისე როგორც სხვა ქვეყნების დიასპორაში. „ჯოინთის“ ძირითადი ამოცანაა ებრაული ყოფა გაფართოვდეს და გაძლიერდეს ყველგან, სადაც კი ებრაელები ცხოვრობენ. „ლიშქათ ჰაკემერი“ ემსახურება გააღვივოს სულიერება ებრაელობაში. „სოხნუთი“ ზრუნავს ყველა მსურველს გაუღვივოს ისრაელში ამოსვლის პროცედურები, ცხელი წერტილებიდანაც კი. ხოდა, მეც შევუდექი ჩემი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას: გაიხსნა ებრაული კულტურის ცენტრი ბიბლეოთეკით. საბავშვო ბაღი. სავალდებულო იყო სასწრაფოდ დაარსებულიყო ისეთი კერა, რომელიც უზრუნველყოფდა ებრაელი მოხუცების სამედიცინო მომსახურებას, გამოყოფდა თანხებს საკვებისა და მედიკამენტებისათვის. ზოგიერთისთვის კი, თავშესაფარსაც. ამას ეწოდა „ხესედ ელიაჰუ“. გაიხსნა ღია ებრაული უნივერსიტეტი. აგრეთვე ახალგაზრდა ებრაელთა საზოგადოება „ჰილელი“ და „სეზამი“. ქალთა საზოგადოება „მირიამი“ და ენის შემსწავლელი კურსები. 1994 წელს ტარდებოდა მსოფლიო მაქაბიად. შემოგთავაზეს, საქართველოს ებრაელი სპორტსმენები მაქაბიადზე რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში გამოსულიყვნენ.

საქართველო კი უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფო გახლდათ და არ მენადა, სტატუსქო დარღვეულიყო. ამიტომ სასწრაფოდ ჩამოყალიბდა ქართული „მაქაბი“ და სწორედ იქ აიღვა ფეხი დღეს საყოველთაოდ ცნობილმა, ჭიდაობაში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა გოჩა ცოციაშვილმა. ქართულენოვანი ებრაული გაზეთის გამოშვებზე კი, დიდ წინააღმდეგობას წაუწყდა. თემის იმდროინდელი ზოგი ერთი თავკაცის მოსაზრებით, მეტად უადგილო და უხერხული იქნებოდა ქვეყნის არც თუ მდგრად პირობებში ებრაული გაზეთის გამოცემა. შემდეგ ცალკე გავსაუბრე გურამ ბათიაშვილსა და ანგანსვენებულ შოთა ბოსტანაშვილს, ვიმსჯელებე და გადაწყდა გაზეთი „მენორა“ გამოსულიყო 1993 წლის დასაწყისში, რომლის ლოგოს ავტორი თავად შოთა ბოსტანაშვილი გახდა. მას შემდეგ, აგერ უკვე 25 წე-



თუ ყოველი ადამიანი ქვეყნად თავისი მისიითაა მოვლენილი, მთავარია, თუ როგორ აღასრულებს ამ მისიას და აქედან გამომდინარე, რა ადგილს დაიმკვიდრებს მზისქვეშეთში. ამაზე მეტი კი ის არის, ადამიანების გულღებში რა ადგილს მოიპოვებს, რაგვარ სიყვარულსა და პატივისცემას.

ჩვენებური გაზაფხულის ერთ ლამაზ დღეს, მე და ჩემი დიდი ხნის მეგობარი მენახემ ელაზარი ბათ იამის სანაპიროს მეტად მყუდრო კაფეში ვისხედით. მზის ჩასვლის შეუდარებელმა სილამაზემ გულთბილი საუბრისათვის განგვაწყო.

ლია, გაზეთმა სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნა და საქართველოს ებრაელთა მემბრატინად იქცა.

— ლ.კ. რას იტყვით საქართველოში მცხოვრები ებრაელების თაობაზე?

— მ.ე. ადრე თუ თორა აერთიანებდა ებრაელებს, საზღვრების გახსნამ და გლობალიზაციამ, სხვა მიზნები და ამოცანები დასახა. თემს უამრავი ცალკეული ლიდერი ჰყავს იქაც და აქაც. ყველა თავისკენ ქაჩავს საბანს. საქართველოს ებრაულ თემში დაპირისპირებებმა კი, უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს ებრაელთა ყოფაზე და განსაკუთრებით ახალგაზრდებზე. არიანი ისეთები, რომლებიც მხოლოდ თავიანთ ეგოს ემსახურებიან და ანგარიშს არ უწევენ არავის აზრს, უკუაგდებენ სხვის კარგ იდეებსაც კი. თემის გაერთიანება, თითოეულ ჩვენგანს ევალება. ერთმანეთის მოსმენა, ტოლერანტობა და ხელიხელჩაკიდებული ქმედება გვმართებს. საქართველოსადმი მადლიერების გრძნობას არაფერი გაგვინებს. ჩვენი თვითმყოფადობა ზემოჩამოთვლილ ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობით მიიღწევა.

— ლ.კ. რა იგულისხმე: აქაც და იქაცო.

— მ.ე. ის, რომ 70-იან წლებში ჩამოსულებს ადგილობრივ საზოგადოებასთან ინტეგრირება გაუჭირდათ. კარჩაკეტილობის გამო გარკვეულწილად გეტოში მოექცნენ. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო იმისა, რომ ქართული ენა შენარჩუნებული იქნას. მეტსაც გეტყვით: რაც კი იქიდან კარგი ჩამოვიტანეთ, იმის შენარჩუნებასა და თანამედროვეობის ფეხის აწყობას მოაქვს პროგრესი, ჩვენი მომავალი ხომ აქ არის და აქაური ცხოვრების წესს უნდა ავუწყოთ ფეხი.

— ლ.კ. რამდენადაც მახსოვს, ამიერკავკასიის მრავალ რეგიონში გქონდათ წარმომადგენლობა. იქ რა მდგომარეობა იყო?

— მ.ე. თუ ეკონომიურ მდგომარეობას გულისხმობ, თითქმის იგივე. აზერბაიჯანში, სომხეთში,

ჩეჩნეთსა, თუ დაღესტანში უფრო კონსერვატიული წყობა დამხვდა, მაგრამ ერთურთის გატანა მეტი იყო, ვიდრე საქართველოში.

— ლ.კ. როგორ ადამიანებთან გიჭირს ურთიერთობა?

— მ.ე. მედროვეებთან და პოპულისტებთან.

— ლ.კ. ყოველთვის ამბობ, რასაც ფიქრობ?

— მ.ე. თითქმის ყოველთვის, მაგრამ სხვადასხვა ფორმით. შეიძლება გამოვთქვა მკვეთრადაც და დიპლომატიურადაც. რაშიც შეგიძლია სრულიად მენდო, საკუთარი პრინციპებისა და იდეოლოგიისთვის, არასოდეს მიღაცლატინა. ეგ კი არა და, მე-9 კლასში ვიყავი, როცა ჩვენი სამხედრო მომზადების

მასწავლებელს, ომის ვეტერანს, შევხვედი: ჩვენ, ებრაელები, არ წამოვალთ სკოლის მიერ ორგანიზებულ ექსკურსიაზე, თუ ჩვენთვის მიუღებელი საკვები იქნება-მეთქი. მოულოდნელობისაგან ყველა სახტად დარჩა. შემდგომში ეს ამბავი მთელ ახალციხეში ძალიან გახმაურდა. მას მერე, ეს მასწავლებელიც და სხვებიც, უფრო პატივისცემით მეპყრობადნენ.

— ლ.კ. პატრიოტიზმი შეგრძნებია, თუ სამსახური?

— მ.ე. ერთიც და მეორეც. სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ებრაელი, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ისრაელის კეთილდღეობისთვის რაიმე უნდა აკეთოს.

— ლ.კ. პირადად შენ რა მოგცა იმან, რაც გააკეთე „ჯოინთის“ ჩარჩობში?

— მ.ე. როგორც მამათა შეგონებაში წერია: კმაყოფილება. სულიერი სიმდიდრე მხოლოდ გაცემის შემდეგ გეუფლება.

— ლ.კ. შენ ხარ ნამდვილი ისრაელი?

— მ.ე. უცნაური და საინტერესო შეკითხვაა. თუ ადამიანი სრულყოფისაკენ არ ისწრაფის, საკუთარ ცხოვრებას უინტერესოს ხდის, მიუხედავად იმისა, ვინც თავის თავს ფერადი სათვალეებით შესცქერის. ებრაელი მარტო ეროვნული ნიშანი არ არის. იგი მოიცავს უფრო ფართო მცნებებს: რელიგიას, ეროვნულობასა და სიონიზმს, ყოველივე კი მიმართული უნდა იყოს ისრაელის გაძლიერებისაკენ.

— ლ.კ. გუშინ ვინიმეთ ისრაელის დარსების 70 წლისთავი. მე სიამაყის გრძნობა ისე მომქადა, რომ მინდოდა ხმამაღლა გამეზიარებინა ყველასთვის: ხედავთ, როგორ მოახერხა ამ მცირე რიცხოვანმა ერმა და ამ პატარა ქვეყანამ ამგვარი მოღწევების მოპოვება სულ, რაღაც 70 წელიწადში. ალბათ, შენც იგივეს გრძნობ, არა?

— მ.ე. სად აარ ვიყავი, რა არ მოვიარე, ევროპის ქვეყნებშიც მიცხოვრია და ჩვენი ერეც ისრაელი სულ სხვაა. გუშინ, ტელევიზიით მირიამ პერესის, ორი შვილის დამკარგავი დედის, გულშიჩამწვდომმა სიტყვებმა, სული ამიფორიაქა. მონუსხული მიჯნერებოდი და ვფიქრობდი, ეს ხომ მარტო სულის სიმტკიცის დემონსტრირება არ არის, ეს არის მაგალითი ნამდვილი პატრიოტიზმისა. მიხაროდა, მეთამაყებოდა და ბედნიერებისა და სიხარულის ცრემლიც ჩამომვარდა ამხელა კაცს. გამჩენმა უღრუბლო ცა და მტკიცე მშვიდობა მისცეს ჩვენ ისრაელს!



# რას ვკითხვართ ულობთ ამ კვირაში? რაბინის კუთხე

ა  
ხ  
ა  
რ  
ე  
პ  
ი  
მ  
ო  
ს



ავიშელაშვილი როზენბლადი

რავ ბარუხ როზენბლადის ლექციის მიხედვით თორის ფარაშა "ახარეი მოთ" აპარონის ვაჟების სიკვდილის აღწერით იწყება.

209 წლის განმავლობაში მეორე ტაძარში 300 ქონი გამოიცივალა. მხოლოდ 4 მათგანი მსახურობდა ტაძარში ხანგრძლივი დროის მანძილზე. ერთ-ერთი მათგანი იყო შიმონ ჰაცადიკი. მიდრამი მოგვითხრობს, რომ იმ წელს, როდესაც ის უნდა გარდაცვლილიყო, იომ ქიფურში მსახურების შემდეგ ცოლს უთხრა, რომ გარდაიცვლებოდა. ცოლის შეკითხვას, თუ საიდაც იცოდა ეს, მან უპასუხა: "შემომყვან ადამიანი თეთრი ტანსაცმლით და შავად შემოსილი გამოვიდა". ცოლმა თქვა, რომ აქ ჰამემი იგულისხმება. და, როგორ შედის საერთოდ ქონი წმინდათა წმინდაში? იომ ქიფურში ქონი ანგელოზს ემსგავსება და ის გამ-ნთან ძალიან ახლოსაა. ამ მომენტში ეუბნება ზუსტად მას გამ-ნი, რომ გაფრთხილდეს და არ დაავინყდეს როგორ უნდა მოიქცეს. "ფირკე ავით"-ის ერთ-ერთი მიმნა გვეუბნება: "ნუ იქნებით მსგავსნი იმ მონების, ვინც ჰამემს ჯილდოს გამო ემსახურება. არამედ იყავით იმ მონათა მსგავსნი, ვინც ჯილდოს მიღების გამო არ ემსახურება ჰამემს, დაე, გქონდეთ ზეცის შიში თქვენ" (ანტიგნოს იმ სოხო). ბოლო სიტყვები რამბამის აზრით იმისთვისაა დამატებული, რომ ის, ვინც ჰამემს სიყვარულით ემსახურება, შეიძლება ისე ახლოს მივიდეს გამჩენთან, რომ დაავინყდეს ვის წინაშე იმყოფება. ამიტომაც ესაჭიროება მას გამ-ნის შიში. ანტიგნოსი გვეუბნება, რომ მეფის წინაშე მდგარი ასეთი ადამიანი დიდი საფრთხის წინაშეა.

"მეშეხ ხოხმა" ამბობს შლომო ჰამელეხის სიტყვებს: "სახელი ჯობს კარგ ზეთს და სიკვდილის

დღე - დაბადების დღეს". ამ ფრაზის ასეთი ახსნა არსებობს: ზეთი ყოველთვის ყველა სიტხეზე მალა ადის. რას შეუძლია ზეთის ანულირება? ქვიშას, მტვერს (ნაცარს) ზეთის მიწაზე დასხმის შემთხვევაში. რით განსხვავდება ადამიანი? მას მთელი ცხოვრების მანძილზე შეიძლება არავინ იცნობდეს, ისიც კი არ იცოდნენ, თუ რა ჰქვია, მაგრამ როდესაც კვდება, როცა მიწაში, ქვიშაში, აწვენენ, მასზე იწყებენ საუბარს და ასე ამოტივტივდება. ამიტომაცაა სიკვდილის დღე დაბადების დღეზე უკეთესი.

გვიტხრეს ჩვენმა ბრძენებმა: "სახელები აზარია, მიშაელი და ხანანია ჯობია იმ ზეთს, რომელიც მიაცხეს ნადავს და ავიჭუს (აპარონის ვაჟებს)". რატომ? ნადავი და ავიჭუ გამოვიდნენ საკმეველის (ებრაულად "კტორეთ") დასაწველად და თავად დაინვნენ, ის სამი ადამიანი კი უნდა დაეწვათ და ცოცხლები გამოვიდნენ ლუმელიდან. მეშეხ ხოხმა ამბობს, რომ ნადავმაც, ავიჭუმაც, აზარიამაც, მიშაელმაც და ხანანიამაც გამ-ნის სახელი აკურთხეს, განწმინდეს. მაგრამ ამ ორ შემთხვევას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: გამ-ნის სან-ჰედრინში ნათქვამია: როდესაც ნაბუქოდნეცარმა (ნაბუქოდონოსერმა) ხანანია, მიშაელი და აზარია ცეცხლში ჩაყარა, გამ-ნმა წინასწარმეტყველ იესი-იზიკიელს უთხრა - "ნადი და გააცოცხლე მკვდრები დორის ხეობაში". მათი გააცოცხლების შემდეგ ძვლები ნაბუქოდნეცარს მიეკვრნენ სახეზე. ის ხომ ადამიანის ძვლებით ჭურჭელს აკეთებდა და მკვდართა გააცოცხლების შემდეგ მისი სახლიდან ჭურჭელი გაქრა. მაშინ ნაბუქოდნეცარმა გამ-ნის განდიდება დაიწყო. ჩვენი ბრძენები ამბობდნენ, რომ გამ-ნის განდიდებას გაგრძელების შემთხვევაში ის დავიდ ჰამელეხს დაასწრებდა და ამიტომ ანგელოზმა სახეზე შემოკრა. სწორედ ამისაა განსხვავება ნაბუქოდნეცარსა და დავიდ შორის: დავიდმა ცხოვრებისგან მრავალი დარტყმა მიიღო, მაგრამ არ შეუწყვეტია გამ-ნის განდიდება.

რატომ ამბობს შლომო ჰამელეხი, რომ "სახელი ჯობს კარგ ზეთს" - ხანანიას, მიშაელისა და აზარიას ზეთი ჯობს ნადავისა და ავიჭუს ზეთს? ხანანიას, აზარიასა და მიშაელის გამო ადამიანთა ისეთი გაღვიძება მოხდა, რომ თავად ნაბუქოდნეცარმაც დაიწყო გამ-ნის განდიდება. ნადავისა და ავიჭუს ზეთის გამო კი ყველა შეშინდა: "თუ ასეთი წმინდა ადამიანები დაილუმნენ, ჩვენ რა მოგველის?" აქედან ვხედავთ, რომ სიყვარულით მსახურება საკმარისი არაა, შიშიც საჭიროა. მან, ვინც მხოლოდ სიყვარულით ემსახურება გამ-ნს, შეიძლება შესცოდოს, ამიტომ შიშითაც უნდა ემსახუროს. ჰამემი ეუბნება ქონი გადოლს: "მე შემოვიდვიარ შენთან ერთად კოდემ კადამიმ-ში იომ ქიფურში, შენ ანგელოზივით ხარ, მაგრამ ამასთან უნდა დაიცვა დისტანცია".

როდესაც აპარონის შვილები დაილუმნენ ნათქვამია: "ვაიდომ აპარონ" (დუმდა აპარონი). მის გამოსახატავად სხვა სიტყვებიც არსებობს, რატომ იხმარეს ეს სიტყვა? პასუხობს ხაფეც ხაიმი

- აპარონი ქვასავით იქცა - მცენარე რეაგირებს ჩვენს ზემოქმედებაზე, მხოლოდ ქვა რჩება ისეთივე, როგორიც იყო.

გაუგებარია. როგორ შეეძლო მას ასეთი რეაგირება, როდესაც შვილები დაეღუპა? უფრო მეტიც, მას უხაროდა, რადგანაც წერია, რომ გამ-ნი გაიხსნა მის წინაშე. გამ-ნი კი ადამიანს ეხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მხიარულია. როგორ შეიძლება ასეთი რამ?

ერთხელ ბრისკერ რაბისთან ერთი ადამიანი მივიდა და რჩევა სთხოვა: "მდიდარი, რომელსაც ვემსახურები, გაკოტრდა, მაგრამ ამას ვერ ვეუბნები". რაბიმ უთხრა, რომ თავად აჩვენებდა მდიდარს გაკოტრების მაუწყებელ დეპემას. იხმო თავისთან მდიდარი და მისი მოსვლის წინ გადაშალა გემარა "ბრახოთ" - აგადა. მდიდარს ძალიან გაუკვირდა, რომ რაბი ამ გემარას სწავლობდა. კითხვაზე ასეთი პასუხი მიიღო: "ვერაფრით გავიგე მიშნა, სადაც ნათქვამია, რომ ადამიანს ერთნაირად უნდა უხაროდეს და აკურთხებდეს გამ-ნს გამდიდრებისა და გაღარიბების, ახლობლის დაბადებისა და გარდაცვალების შემთხვევაში. მდიდარმა უთხრა: "როგორ არ გესმით, რომ გამ-ნმა ყველაფერი ადამიანის სასიკეთოდ მოგვცა?" "მაშინ ნაიკითხე ეს დეპემა" - უთხრა რაბიმ. მდიდარმა ნაიკითხა და გული წაუვიდა. ერთი კვირის შემდეგ რაბიმ საავადმყოფოში მოინახულა გაკოტრებული მდიდარი და უთხრა: როგორც ჩანს, გვიხარია, როცა ცუდი სხვას შეემთხვა, მაგრამ ჩვენს თავზე დამტყდარი უბედურება არც ისეთი სასიხარულო რამაა". "მაშინ როგორ უნდა გავიგოთ გემარა?" - ჰკითხა გაკოტრებულმა მდიდარმა. "ვერ გეტყვი ზუსტად, მაგრამ როგორც არ უნდა ცდილობდეს ადამიანი, ის მაინც რჩება მდგომარეობაში, როდესაც "უნდა" მიაღწიოს უფრო მაღალ დონეს.

აპარონი ფიქრობდა, თუ რისთვის დაისაჯნენ ის და მისი ვაჟები. მივიდა მასთან მოშე და უთხრა რომ ტაძარი წმინდა ადამიანების, ანუ მოშესა და აპარონის მეშვეობით უნდა განწმენდილიყო. ახლა კი გამოჩნდა, რომ ნადავი და ავიჭუ უფრო დიდებულნი იყვნენ. როდესაც აპარონმა ეს მოისმინა, გაჩუმდა და სასამართლოს სისწორეში დარწმუნდა.

სასამართლოს სამართლიანობაში დარწმუნების სამი გზა არსებობს: პირველი: გაიგო გამ-ნის სიდიადე და საკუთარი მნიშვნელობა დაამდაბლო; მეორე: დაინახო, რომ ჰამემი მხოლოდ სიკეთეს გაძლევს; მესამე: დაინახო, გაიზარო შენი ცოდვები. აპარონი ფიქრობდა, რომ ის არავინ იყო გამ-ნის წინაშე და ამას გარდა დაინახა, თუ რამდენი სიკეთე გაუკეთა გამ-ნმა იმის მიუხედავად, რომ ცოდვიანი იყო. ამიტომაც დადუმდა.

თუ ადამიანი თვლის, რომ ეს ჩემია - ჩემი ფულია, ჩემი სახლია, ჩემი შვილები არიან, მაშინ ის ჩივის. მაგრამ, თუ მას ესმის, რომ ყველაფერი გამ-ნის საჩუქარია, არ ჩივის და ყველაფერზე მაღლობას ამბობს. ამიტომაც გაჩუმდა აპარონი.

## ივანკა ტრამპა მამის

### „სიტყვა იერუსალიმზე“...


ივანკა ტრამპა მამის — აშშ პრეზიდენტის დონალდ ტრამპის — ჩარჩოში ჩასმული სიტყვა, რომელშიც ლაპარაკია აშშ საელჩოს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადატანაზე, თეთრ სახლში თავის კაბინეტში კედელზე გამოჰქიდა. ტრამპმა ამ სიტყვას ნაანერა: „ივანკას სიყვარულით მამიკოსაგან“

ეს ისტორიული დოკუმენტი ივანკას კაბინეტში მისივე შვილების პორტრეტების გვარდითაა გამოკიდებული.

ივანკამ, ებრაელ მილიონერ ჯარედ კუშნერზე გათხოვების წინ იუდაიზმი მიიღო. დონალდ ტრამპი ხშირად ამბობს ჩემი შვილიშვილები ებრაელები არიანო. ივანკას და ჯარედს სამი შვილი ჰყავთ.



## ნეთანიაჰუს ვაჟი ოფიციალად მუშაობს



ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბინიამინ ნეთანიაჰუს უმცროსი შვილს - ავნერს განზრახული აქვს უახლოეს ხანშივე დატოვოს მამისეული სახლი და დამოუკიდებლად იცხოვროს ნაქირავებ ბინაში. სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ მოკლე ხანს იმოგზაურა უცხოეთში და პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის ახლოს ერთ-ერთ კაფეში ოფიციალად დაიწყო მუშაობა. თანახმად არსებული დებულებისა, პრემიერ-მინისტრის ოჯახის წევრის დაცვა სავალდებულოა. ამიტომ ავნერის მუშაობის საათებში კაფესთან უსათუოდ მორიგეობს სამართალდამცავთა მანქანა.

ავნერი 2017 წლის დეკემბერში სამხედრო სამსახურის დამთავრებისთანავე უცხოეთის დასათვალისწინებლად გაემგზავრა. მოინახულა ავსტრალია და ახალი ზელანდია. მთავრობის მეთაურის ვაჟს უშიშროების სამსახურის ის თანამშრომლები, რომლებიც მინისტრების, მთავრობის მეთაურის დაცვაზე აგებენ პასუხს, უცხოეთშიც კი ახლდნენ.

ავნერი არმიაში წესისამებრ სამი წელი იყო — ქვეგანყოფილებაში, რომელსაც ოპერატიულ-სადაზვერვო ღონისძიებების გატარება ევალება „ახალგაზრდა მეზრდოლის კურსის“ გავლისას დაიჭრა კიდევ.



# დავით იაკობაშვილის უამჯობით...

# ალმოაჩინუს „არმაგედონის აკლდამა“



ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის კიევის ოფისის ეგიდით მოქმედებს პროგრამა „ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობის შენახვა“ ეს პროგრამა უკანასკნელ წლებში ენოდა ქუთაისის ბიეთ ქნესეთის რესტავრაციას, რომელიც უკვე გასრულდა. ევრაზიის ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტის, ბიზნესმენ დავით იაკობაშვილის ფინანსური მხარდაჭერით გარემონტდა ქუთაისის პატარა ლოცვა და ებრაული სასაფლაო.

21 თებერვალს ქუთაისში იმყოფებოდა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პროგრამების კომისიის თავმჯდომარე იოსებ ზისელსი, რომელმაც ქუთაისის ებრაული თემის ხელმძღვანელებთან და საამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად ხელი მოაწერა ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციის შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტს.

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის მხრიდან პროექტის აღსრულებაში ასევე მონაწილეობდა ფინანსებისა და მშენებლობის ხარისხის ზედამხედველი ბორის ტაქსერი.

ისრაელელმა არქეოლოგებმა ქანაანის უძველეს ქალაქ მეგიდოში გათხრებისას აღმოაჩინეს დაახლოებით 3600 წლის წინანდელი წარჩინებული ადამიანების ხელუხლებელი სამარხი.

როგორც სწავლულნი მიუთითებენ, ქანაანის უძველესი ქალაქის მეგიდოს სახელი წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან „არმაგედონი“ „National Geographic“ წერს, რომ ქანაანი კრებითი სახელია ძველ მესოპოტამიასა და ძველ ეგვიპტეს შორის განლაგებული სამეფოებისა. არქეოლოგებმა ხელუხლებელ სამარხში სამი ადამიანის წარჩინებული აღმოაჩინეს: ესენი არიან 8-10 წლის ბავშვი, 30 წლის ქალი და 40-60 წლის მამაკაცი. სამარხი დაათარიღეს ძველი ნელთალრიცხვის 1600-1700 წლებით.


ყველა ნიშნის მიხედვით, აკლდამაში წარჩინებული ადამიანები უნდა იყვნენ მოთავსებულნი. აკლდამა სამეფო სასახლის გვერდითაა, არქეოლოგები აკლდამაში ბევრ ერთობ ძვირფას ნივთს წააწყდნენ: მამაკაცის თავს ოქროს დიადემა ამშვენებდა, ყელს კი ოქროს ძეგვი. ასევე ნაპოვნია ვერცხლისა და ოქროს ბეჭდები, გულსაკინძები, სამაჯურები, ქინძისთავები. ყოველი ეს ნივთი კარგი ოსტატის ნახელავია. ამათ გარდა, სამარხში ნაპოვნია ეგვიპტური და კვიპროსული კერამიკის ტურქული.

წყარო: info.sibnet.ru  
IsraLove-ს რედაქცია

## ახალი წიგნები

### „კვალი ისტორიაში“

წიგნის შესავალში ვკითხულობთ: „ეს წიგნი ასახავს იმ ტრაგედიას, რაც საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა 1930 წლიდან 1950 წლამდე გადაიტანეს. წიგნი შესული სახელები და მათი ისტორიები ჩვენთვის მათი ხსოვნაა, ვინც რეპრესიების, დიდი სამამულო ომის პერიოდის სამინელებებისა და საომარი მოქმედებების, საკონცენტრაციო ბანაკების, ევაკუაციის, ჰოლოკოსტის მსხვერპლი გახდა“.



ამ პატარა ალბომის სათაურიც კი მიანიშნებს, საქართველოს ებრაელობის რაობას, იმ ურთულეს გზას, რომელიც მან გაიარა. ამ თემმა, მართლაც მნიშვნელოვანი კვალი გაავლო ებრაელობის ისტორიაში და დღესაც თავის როლს თამაშობს ებრაელთა ყოფაში.

წიგნი შესულია მცირე ბიოგრაფიები იმ ქართველი, თუ ამქენაზი ებრაელების სასულიერო პირების, საზოგადო მოღვაწეების, თუ ადმინისტრაციულ საქმიანობაში ჩაბმული ადამიანებისა, რომლებიც რეპრესიების, სხვადასხვა განსაცდელის მსხვერპლი გახადეს. ეს მონაცემები სხვა გამოცემებშიც შეგხვდრია, ამ წიგნის მთავარ ღირსებად მისი დოკუმენტურობა, იმ ფაქტობრივი მასალის მოძიება და გამომხატურება მიიჩნევა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებში გახლდათ მიმოფანტული. ამ წიგნის მთავარ რედაქტორს — ელენე ბერკოვიჩს, სარედაქციო კოლეგიის წევრებს (დ. გუჯეჯიანი, ნ. ყირაშვილი, ვ. გოლოვინი, მ. მაიდანოვი) დიდი საძიებო სამუშაო ჩაუტარებიათ, რათა სამხეობე გამოეტანათ რეპრესირებულ საქართველოს ებრაელთა სია. ამას თან ერთვის შემზარავი დოკუმენტები — ფოტომასალა, რომელსაც მოსდევს იმ „ჯამუშო“ და „კონტრეველუციონერთა“ ჩამონათვალი, ამათუიმ ბრალდებით რომ დახვრიტეს. ისეთი პატარა რესპუბლიკისათვის, როგორც საქართველო გახლდათ, 1937-38 წლებში დახვრეტილი ორმოცდაათამდე ებრაელი! ამას მივუმატოთ სიონისტური მოღვაწეობისათვის დახვრეტილი კიდევ სამი ებრაელი: დავით ისრაელის-ძე ბაუტბურგი, მიხეილ დანიელის ძე ჯანაშვილი და აბრამ ისაკის ძე ბააზოვი — სამივე ცხინვალისაგან (როგორც ჩანს, ბოლშევიკურ ხელისუფლებას ცხინვალში ერთობ დაგეშილი მსტოვრები ჰყავდა!) და სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმული ორმოცზე მეტი დახვრეტილი ებრაელი. ესენი ფაბრიკა-ქარხნებში, სხვადასხვა სანარმო დაწესებულებაში მუშაობდნენ, ებრაათ სამეურნეო ცხოვრების ესათუის სფერო, მაგრამ აქაც „აღმოუჩინეს“ ის, რაც საბჭოთა ხალხის „წინსვლას“ წინ ელობებოდა. ერთი სიტყვით, ამ პატარა საქართველოში საბჭოთა უშიშროებას იმდენი „მოლაღატე“ „ჯამუშო“, „ბელადთა მოკვდინების მსურველი“ ებრაელი „აღმოუჩინა“, რომ გაოცდებით. და თუ ასე იყო შედარებით მცირერიცხოვან ებრაელობაში, რეპრესიებს რა მასშტაბები ექნებოდა ქართველთა შორის!

ასე რომ თბილისის ებრაული სახლის კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდმა მოგვანოდა სერიოზული, საჭირო დოკუმენტი ჩვენი მამების, ბაბუების ტრაგიკულ ცხოვრებაზე. წიგნი ორენოვანია — გამოვიდა რუსულ და ქართულ ენებზე, თუმცა, აჯობებდა ყოფილიყო ინგლისურ ენაზეც, რათა უფრო დიდ აუდიტორიას სცოდნოდა ის, რაც თავს გადახდა საქართველოს ებრაელობას.

გვერდს ვერ ავუვლით საავტორო ტექსტის ქართულ თარგმანს, რომელიც ვერა-რა კრიტიკას ვერ უძლებს. იგი ხასიათდება ზედამორულობით, უზუსტობებით, არაქართული „ქართულით“. ეს კი ამ საჭირო ნაშრომის სერიოზული ნაკლი გახლავთ.

## ჯონითის დიდი საქმიანობის ამსახველი და წარსულის...

ოც წელზე მეტია ჯონითი საქართველოში მოღვაწეობს, ოც წელზე მეტია ჯონითი საქართველოს ებრაელობის (და არა მხოლოდ ებრაელობის!) სამსახურში დგას. ამ ხნის განმავლობაში რამდენ ადამიანს, რამდენ ოჯახს დაუაპმა ტყვიელი, რამდენს მისცა სულის მოთქმის (გადარჩენისაც კი!) საშუალება. დაუვიწყარია საქართველოს მთავარი რაბინის არიელ ლევი-ნის სიტყვები: „მას შემდეგ, რაც საქართველოში „ხესედ ელიაჰუ“ გაიხსნა, ებრაელი შიმშილით არ გარდაცვლილა“. „ხესედ ელიაჰუ“ კი ჯონითის საჩუქარია.



საქართველოს ებრაელობის წარმომადგენლებმა ჯონითისადმი მადლიერებისა და პატივისცემა გრძნობა კარგად გამოხატეს 10 წლის წინათ სწორედ „მენორას“ ბიბლიოთეკის სერით გამოცემულ წიგნში, რომელიც საქართველოში ჯონითის წარმომადგენლობის გახსნის ათი წლისთავს მიეძღვნა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ კი გამოიცა უხვად ილუსტრირებული, ფერადი, ტექნიკურად კარგად შესრულებული (ყურადღებას იქცევს მაკეტ- დიზაინის ორიგინალური ფორმა) ბუკლეტი „თბილისის ებრაული სათემო სახლი“. ბუკლეტი ორენოვანია — ქართულ და ინგლისურ ენებზე მოუთხრობს მკითხველს თბილისის ებრაული სახლის საქმიანობაზე.

ბუკლეტი იხსნება სათემო სახლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის რეზო შათაშვილის მოკლე, ლაკონური შესავალი წერილით, რომელიც მკითხველს „ხესედ ელიაჰუს“ მუშაობას აცნობს — იმ პროგრამებს („კვება“, „ბინაზე მოვლა“, „მედიცინა“, სარეაბილიტაციო მონყობილებათა გაქირავება“, „დღის ცენტრი“, „კლუბი“, „ზამთრის დახმარება“, „SOS“, „DSOS“), რომელიც ჯამათის სამსახურში დგას. ყოველი სამსახურის საქმიანობა წარმოდგენილია სათანადო ფოტომასალით.

ბუკლეტში ებრაული სათემო სახლის ყოველი სამსახურის ხელმძღვანელი გვანდის ცნობებს თავის საკურატორო სამსახურზე, თუმცადა, კლუბ „26 საუკუნის“ თაობაზე დაწერილი ტექსტის ავტორს ისეთი ფაქტები „დავიწყნია“, რომლითაც ავტორის ტენდენციურობასაც ავლენს და ფაქტსაც ამახინჯებს (ბუკლეტის შემდგენელიცა და რედაქტორიც!) ნ. დავარაშვილი გახლავთ.). ამიტომ გვიხდება ამ „გულმავინე“ შემდგენელსა და რედაქტორს(!) შევახსენოთ: კლუბი „26 საუკუნე“ დიახაც, შეიქმნა 1998 წელს, მისი ხელმძღვანელები კი გახლდნენ საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი, პოეტი, მთარგმნელი, საქართველოს პარლამენტის წევრი ჯემალ აჯიაშვილი და მწერალი, დრამატურგი, გაზეთ „მენორას“ რედაქტორი გურამ ბათიაშვილი, ზ.დავარაშვილი კი კლუბის დიასახლისი იყო.

ამ ბუკლეტის გამოცემით კარგი საქმე გააკეთდა. გაცეხას კი იწვევს ის ფაქტი, რომ ჯონითი ზოგიერთ ამბიციურ თანამშრომელს უფლებას აძლევს, საზოგადო საქმე პირადი სიმპათია-ანთიპათიით აკეთონ. ეს ხომ ჯონითის ერთობ კეთილშობილურ, მნიშვნელოვან საქმიანობას აყენებს ჩრდილს.